

# მიმდინარე ანგარიშის შინაარსი

## ცნობები არსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ

### ცნობები სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი შედგენილ იქნა 2011 წლის 07 დეკემბერს.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3
ჩატარების თარიღი:	2011 წლის 06 დეკემბერი
ჩატარების დრო:	14 საათი 30 წუთი
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 99,5494%

### აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

საკითხი 1. 2010 წლის შედეგების მიხედვით საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების განაწილების) და ზარალის განაწილების შესახებ.

საკითხი 2. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, სრული შემადგენლობით, უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის შესახებ.

საკითხი 3. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, არჩევის შესახებ ახალი შემადგენლობით.

### საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

#### გადაწყვეტილების პროექტი 1-ელ საკითხზე:

1. 2010 წლის შედეგების მიხედვით, სს „თელასის“ წმინდა მოგება 48 356 000 (ორმოცდარვა მილიონი სამას ორმოცდათექვსმეტი ათსი) ლარის ოდენობით განაწილდეს შემდეგნაირად:

2010 წელში მიღებული წმინდა მოგება (ლარი)	48 356 000
2010 წლის წმინდა შემოსავლების განაწილება, სულ, მათ შორის:	48 356 000
სარეზერვო ფონდი	0
საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსება, მათ შორის:	22 000 000
2011 წელს	5 000 000
2012 წელს	17 000 000
დივიდენდები	0
წინა წლების ზარალის დაფარვა	26 356 000
გაუნაწილებელი შემოსავლების ნაშთი	0

2. 2010 წლის შედეგების მიხედვით დივიდენდების გადახდა არ განხორციელდეს.

### **გადაწყვეტილების პროექტი მე-2 საკითხზე:**

შეუწყდეს სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მთელ შემადგენლობას უფლებამოსილებანი ვადამდე.

### **გადაწყვეტილების პროექტი მე-3 საკითხზე:**

არჩეულ იქნეს სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- 1) ანტონ იურის ძე ბადენკოვი – ლსს „ინტერ რაო ეეს“-ის გამგეობის თავმჯდომარის მრჩეველი.
- 2) ვადიმ სერგეის ძე მიტიუშინი – ლსს „ინტერ რაო ეეს“-ის გეოგრაფიული დივიზიონის „სამხრეთ კავკასია და თურქეთი“ ხელმძღვანელი.
- 3) პაველ ივანეს ძე ოკლეი – ლსს „ინტერ რაო ეეს“-ის გამგეობის წევრი, საწარმოო საქმიანობის ბლოკის ხელმძღვანელი.
- 4) დიმიტრი ნიკოლაის ძე პალუნინი - ლსს „ინტერ რაო ეეს“-ის გამგეობის წევრ, ფინანსური დირექტორი.
- 5) თემურ გრიგოლის ძე ჭინჭარაული - აკადემიკოსი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი.
- 6) ირინა მილორავა - შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ გენერალური დირექტორი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

დღის წესრიგის ყველა საკითხის მიხედვით: “მომხრე”, ერთხმად, კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციათა (100%).

**კორპორაციული დირექტორი**

**ს.კაკულია**